

როგორ გამოვასწორობთ „ძველით“ გაფუჭებულს

ანუ გამოიყვანს თუ არა ახალი საგადასახადო კოდექსი ქართულ ბიზნესს ლაბირინთებიდან?!

საბჭოთა ჯავშირის დამთის შემდეგ უკვე 20 წელი გავიდა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ორიენტირები კვლავ ბუნდოვანია. რაოდენ გასაკვირად არ უნდა მოგვეჩვენოს, ამ ხნის განმავლობაში, მრავალი ათეული ე.წ. უცხოელი „ექსპერტი“ მოძღვრავდა, შესაბამის რჩევებს და რეკომენდაციებს აძლევდა ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას, თუმცა, საქართველოს ეკონომიკა არა და არ უმჯობესდებოდა!



ზორის ჭიჭინაძე,
სოსუმის აკაკი ჩხარტიშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი

წარუმატებლობის გამომწვევი მიზეზების ძებნა არ გვიცდია. ე.წ. უცხოელი „კეთილისმყოფელი“ ხელოვნურად ცდილობდნენ მათი ქვეყნების გამოცდილების ჩვენს ეკონომიკაში ადაპტირებას. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათ შენახვაზე საქართველოს ბიუჯეტიდან მრავალი მილიონი დოლარია დახარჯული, რაც დღესაც მძიმე ტვირთად აწვება ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტს.

მაინც რა არის ძირითადი მიზეზი, რატომ არ გამოვიდა საქართველოს ეკონომიკა ფაქტობრივი კოლაფსიდან? პირველ რიგში უცხოური გამოცდილების გაზიარებისას საჭიროა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ღრმა ანალიზი და შემდეგ იმ მიღწევების გაზიარება, რომელმაც უცხოეთის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობა გამოიწვია. ფაქტია, რომ ვერცერთი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება, თუ მას არა აქვს ნორმალური და ბიზნესის ხელშეწყობაზე ორიენტირებული საბაჟო, საგადასახადო და გადასახადებთან მიმართებაში არსებული სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები. 1992 წლიდან მოყოლებული არცერთი უცხოელი „კეთილისმყოფელი“, უცხოური გამოცდილების საქართველოში გადმოტანისას არ ითვალისწინებდა ჩვენი ქვეყნის

ეკონომიკურ თავისებურებებს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ისინი გვეკარნახობდნენ ისეთ საგადასახადო და საბაჟო კოდექსებს, რომელთა წაკითხვაც არა თუ ბიზნესმენს, არამედ თვით, ამ კანონების მიმღებ პირებსაც უჭირდათ. ამის ნათელი მაგალითია 1997 წლის ივნისში პარლამენტის მიერ ერთხმად მიღებული პირველი საგადასახადო კოდექსი. რატომ იქნა მიღებული აღნიშნული კოდექსი მხოლოდ უცხოელების რეკომენდაციით და რატომ არ გავითვალისწინეთ ქართველი მეცნიერების გამოცდილება? მავანი გვეპასუხობდა, რომ უცხოელებს მეტი გამოცდილება გააჩნიათ. სწორედ ასეთმა არაპროფესიონალურმა და ხშირ შემთხვევაში გააზრებულად ცუდად გადადგმულმა ნაბიჯებმა ქვეყანა უდიდეს ვალებში (საშინაო და საგარეო) ჩააგდო, რომლის შედეგებსაც ეხლა ვიმკით. **პრაქტიკა ცხადყოფს, რომ 1997 წელს მიღებულმა საგადასახადო კოდექსმა გააუარესა ქვეყანაში არსებული ბიზნეს გარემო და იმდროინდელი ქართული ეკონომიკის კლანური დაყოფა გამოიწვია.**

ბუნებრივია, ყველა უცხოური ქვეყნის მთავრობები ცდილობენ იქონიონ გავლენის სფეროები სხვა განუვითარებელ და ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებში, აიძულონ იმ ქვეყნის უმაღლეს

სი პოლიტიკური პირები სხვადასხვა გზებით (გრანტები, დაბალპროცენტული სესხები, მოსყიდვა და სხვა) მიაღებინონ ისეთი კანონები, რომლებიც დააკნინებს ეროვნულ ეკონომიკას და ამ ქვეყნებს მათ სამომხმარებლო ბაზრად აქცევს. (ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენთან 1997 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსი). მართალია, 2005 წელს მიღებულმა საგადასახადო კოდექსმა მნიშვნელოვნად შეამცირა გადასახადების რაოდენობა, მაგრამ საჭიროა იმის განსაზღვრა, რამდენად პოზიტიურად იმოქმედა მან ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარებაზე. ყველა ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობაში მკაფიოდაა განსაზღვრული გადასახადის გადამხდელების უფლებები და მოვალეობები. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში გამორიცხულია საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული მუხლების ორმაგი აღქმა და სხვადასხვანაირი ინტერპრეტირება. ჩვენთან კი ამ მხრივ საქმე რთულადაა. ხშირ შემთხვევაში საგადასახადო სამსახურებიც სხვადასხვანაირ განმარტებებს იძლევიან ამა თუ იმ მუხლის შესახებ, რაც ამ სფეროში გაუგებრობას და მენარმეების დაბნევას იწვევს, ეს დასტურდება საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლით, რომლის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს უფროსი, ან მისი მოადგი-

ლე უფლებამოსილია, გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირს გადაუზავნოს წერილობითი განმარტება, რომელიც გამოხატავს საგადასახადო ორგანოს პოზიციას პირის მიერ შესრულებული, ან შესასრულებელი სამეურნეო ოპერაციისას საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებაზე. თუმცა აღნიშნული განმარტება წარმოადგენს რეკომენდაციას და მას არ აქვს სავალდებულო ხასიათი. აღნიშნული მუხლის განმარტებიდან სჩანს, რომ განხილულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი ცუდ დღეში ვარდება და კანონიც არ იძლევა იმის განმარტებას, თუ ვის უნდა მიმართოს საკითხის საბოლოოდ გასარკვევად გადასახადის გადამხდელმა. უცხოეთში კი საქმე ამ მხრივ სხვანაირადაა – თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობა მკაცრად განსაზღვრავს საგადასახადო ორგანოების ვალდებულებებს და საგადასახადო ორგანოს განმარტებას აქვს იურიდიული ძალა.

კიდევ უფრო რთულად დგას საქმე საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის გამოყენებისას, რომელიც ეხება გადასახადის გადამხდელის მიერ მომხმარებელთან ნაღდი ანგარიშსწორებისას საკონტროლო-

სალარო აპარატის ჩეკის გაუცემლობის შემთხვევას. იმ შემთხვევაში, თუ გადასახადის გადამხდელი ნაღდი ანგარიშსწორების განხორციელებისას ჩეკს არ გამოუწერს მომხმარებელს, მაშინ, ის პირველ შემთხვევაში დაჯარიმდება 500 ლარის ოდენობით, განმეორების შემთხვევაში 1500 ლარის ოდენობით და ყოველი შემდგომი განმეორებისას 2500 ლარის ოდენობით. აღნიშნული მუხლი ეწინააღმდეგება ევროპულ ქარტიებს (იმ ქარტიებს, რომლებსაც მიერთებულია საქართველო და შესაბამისი რატიფიცირებაც განხორციელებულია პარლამენტის მიერ). დიას, აღნიშნული მუხლი დისკრიმინაციულია და არღვევს გადასახადის გადამხდელთა მთავარ უფლებას – ჰქონდეთ მათ ბიზნესის კეთების საშუალება. აღნიშნული მუხლი გაუგებარი და ბუნდოვანია იმდენად, რამდენადაც მინიმალური ხელფასი საჯარო სამსახურში ჯერაც 150 ლარია, ხოლო კერძო სექტორში ბოლომდე გარკვეული არ არის, და მას დამქირავებლები თავად განსაზღვრავენ. გასარკვევია ისიც, საიდან შემოდის საქართველოში საკონტროლო-სალარო აპარატები და რა ღირს ის მომწოდებელ ქვეყნებში? ხომ არ აქვს ადგილი სალარო აპარატების

იმპორტით დაკავებული პირების მიერ ფასების ხელოვნურ ზრდას და შემომტანების მიერ მათზე კარტერული ფასების დანესებას?

აქვე უნდა აღვნიშნო საგადასახადო კოდექსის 280¹ მუხლის შესახებაც. აღნიშნული მუხლი არეგულირებს ახლადდარეგისტრირებული მენარმეებისთვის საგადასახადო სესხის გაცემას. როგორც საქართველოში ჩატარებულმა სტატისტიკურმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, აღნიშნული მუხლით განსაზღვრული საგადასახადო სესხით ფაქტიურად მენარმეების ძალიან უმნიშვნელო ნაწილმა ისარგებლა. მაშინ, როცა მსურველი ძალიან ბევრი იყო.

ზემოთაღნიშნული საკითხის მოგვარებას ართულებს ისიც, რომ დღეისათვის არ არსებობს კანონი, რომელიც მოახდენდა ბიზნესით დაკავებული პირების დიფერენცირებას - მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით, ყველა მენარმე მიუხედავად მათი წლიური ერთობლივი შემოსავლისა, ერთნაირი დაბეგვრის რეჟიმშია მოქცეული. (უცხოეთში კი მენარმეები სხვადასხვანაირი წესით იბეგრებიან მათი წლიური შემოსავლიდან გამომდინარე) თუ საგადასახადო კოდექსის 139-ე მუხლის მოთხოვნებს გამოვიყენებთ მაღალმთიანი რეგიონის რომელიმე სოფელში არსებული ნისქვილის, ან ჯიხურის შემთხვევაში, მაშინ აღნიშნული სანქციის გამოყენება (500 ლარი, 1500 ლარი, 2500 ლარი) ბუნებრივია, გამოიწვევს მათი საქმიანობის პარალიზირებას. (მაშინ, როცა, აღნიშნული ჯარიმის ოდენობა თბილისში არსებული „მაკდონალდსისთვის“, „კოკა-კოლასთვის“, ან სხვა მსხვილი ბიზნესით დაკავებული პირებისათვის შეიძლება სულაც არ იყოს ტრაგედია). საჭიროა ამ კუთხით საკითხის ღრმად მეცნიერულად შესწავლა და ისეთი კანონის მიღება, რომელიც არ იქნება დისკრიმინაციული. ასეთი გაუაზრებელი და არაეფექტური ჯარიმების შედეგად მენარმე პირებს უგროვდებათ საბიუჯეტო დავალიანება, რაც საერთო ჯამში ბიზნეს-გარემოს გაუარესებას იწვევს.

ყველა განვითარებული ქვეყნის მთავრობები ზოგჯერ მიმართავენ



საბიუჯეტო დავალიანებების ჩამონერის პრაქტიკას, რომელიც ცნობილია **საგადასახადო ამნისტიის** სახელით. საგადასახადო ამნისტია საყოველთაო ხასიათს ატარებს და მისი გამოცხადება ძირითადად ხდება მწვავე საბიუჯეტო, ეკონომიკური და საბანკო კრიზისის, ან საომარი მოვლენების შემდეგ. ამნისტიის ძირითადი მიზანია, ამ სიკეთით ისარგებლოს ყველა მენარმემ (მცირე, საშუალო, მსხვილი) მიუხედავად მათი საბიუჯეტო დავალიანების სიდიდისა. არც წინა და არც ახალ ხელისუფლებას არ გამოუცხადებია ტოტალური საგადასახადო ამნისტია, არადა, ამის აუცილებლობა მართლაც არსებობდა. 2004 წლის 24 დეკემბერს მიღებულმა კანონმა **„ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“**, ფაქტიურად 1997 წელს მიღებული კოდექსის შედეგად დაზარებულ მენარმეებს ვერანაირი შვება ვერ მოგვარა. პირიქით, **აღნიშნული კანონის მიღებით დაზარალებულნი მენარმე ფიზიკური პირები, რომლებიც იმდროინდელი საგადასახადო კოდექსის შედეგად პატიოსნად ახდენდნენ საბიუჯეტო გადასახადების დეკლარირებას, მაგრამ კოდექსის უნიათობიდან გამომდინარე, სრულად ვერ იხდენდნენ გადასახადებს.** ამნისტია შეეხო მხოლოდ იმ მენარმეებს (თუ ამას შეიძლება მენარმეები დაერქვას), რომლებიც საერთოდ არ ადგენდნენ არანაირ დეკლარაციებს და გაანგარიშებებს საგადასახადო ორგანოებში. გამომდინარე აქედან, ეს კანონი ვერ ჩაითვლება ამნისტიად და მისი მიღებით მცირე მენარმეების ფართო ფენებმა ვერანაირი სიკეთე ვერ იგრძენეს.

ამნისტიის პროტოტიპად შეიძლება ჩაითვალოს 2009 წლის 15 დეკემბერს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილება **„საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესის შესახებ“**, აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრულია ის კატეგორია მენარმეებისა, რომლებსაც შეუძლიათ ისარგებლონ საგადასახადო შეთანხმებით. კერძოდ: საგადასახადო შეთანხმებით შეუძლიათ ისარგებლონ იმ მენარმეებმა, რომელთა

საგადასახადო ვალდებულებების ჯამური ოდენობა აღემატება 10000 ლარს და არ არის აღიარებული გადამხდელის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელს გააჩნია აღნიშნული რაოდენობის საბიუჯეტო დავალიანება, მას უფლება აქვს წერილობით მიმართოს შემოსავლების სამსახურს და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გადამხდელმა უნდა შესთავაზოს შემოსავლების სამსახურს იმ თანხის ოდენობა, რომლის გადახდასაც მენარმე შეძლებს. ამის შემდეგ შემოსავლების სამსახური გადამხდელის წერილს გადაუგზავნის ფინანსთა სამინისტროს, ხოლო, ეს უკანასკნელი კი მიმართავს საქართველოს მთავრობას გადასახადის გადამხდელის წერილის განხილვის მიზნით. საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას გადამხდელთან საგადასახადო შეთანხმების გაფორმების, ან არგაფორმების შესახებ. თუ მთავრობა თანახმაა საგადასახადო შეთანხმების გაფორმებაზე, ამ შემთხვევაში შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია გადამხდელს გაუფორმოს საგადასახადო შეთანხმების აქტი. ერთი შეხედვით, საკითხი მარტივია, თუ ღრმად ჩაუკვირდებით მას, საჭიროა ამ დადგენილების ან გაუქმება, ან მასში ძირეული ცვლილებების შეტანა. კერძოდ: საერთოდ გაურკვეველია რატომ მაინცდამაინც 10000 (ათიათასი) ლარს ზემოთ დავალიანების შემთხვევაში შესაძლებელი საგადასახადო შეთანხმების გაფორმება და რა დააშავა 10000 (ათიათასი) ლარამდე დავალიანების მქონე მენარმეებმა (ასეთები კი ძალიან ბევრია). ასევე გაურკვეველია, რა კრიტერიუმებით სარგებლობს საქართველოს მთავრობა საგადასახადო შეთანხმების გაფორმების, ან არგაფორმების დროს (ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ ჩვენთვის უცნობია). ბუნდოვანია ისიც, რომ მთავრობის მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, მაგრამ არა ვალდებული გაუფორმოს გადასახადის გადამხდელს საგადასახადო შეთანხმების აქტი. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა არ დააკმაყოფილებს გადასახადის გადამხდელის თხოვ-

ნას საგადასახადო შეთანხმების გაფორმებაზე, გადასახადის გადამხდელს მისი გასაჩივრების არანაირი იურიდიული უფლება არ გააჩნია. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, 2009 წლის 15 დეკემბერს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილება **„საგადასახადო შეთანხმების გაფორმების წესის შესახებ“**, ხშირ შემთხვევაში შეიძლება არ იყოს ობიექტურად გამოყენებული, რაც საგადასახადო შეთანხმების გაფორმების მსურველთა სამართლიან გულისწყრომას გამოიწვევს. (ეს ძირითადად გამომწვეულია იმით, რომ არ არსებობს არანაირი კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დაიცვას მთავრობამ საგადასახადო შეთანხმების გაფორმებისას. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ხშირად სუბიექტური ფაქტორების გამოყენებით შეიძლება მოხდეს). საქმე იმაშია, რომ ზოგიერთ მენარმეს შეიძლება გაუფორმდეს საგადასახადო შეთანხმება, ზოგიერთს კი არა. აღნიშნული მიდგომა კი ეწინააღმდეგება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 65-ე მუხლის მე-5-ე ნაწილს, რომლითაც აკრძალულია ინდივიდუალური ხასიათის საგადასახადო შეღავათის დაწესება და ცალკეული პირების გათავისუფლება გადასახადისგან. აღნიშნული დადგენილების არსებობა ვერ შეუწყობს ხელს ქვეყნის ბიზნეს – გარემოს განვითარებას. (შეიძლება პირიქით, მისი გაუარესება გამოიწვიოს).

ბიზნეს – გარემოს გაუარესების მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 8 სექტემბრის №577 ბრძანება **„საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის ქრონომეტრაჟის შედეგების წინა წელზე გავრცელების წესის“** მიღების შესახებ. აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა, რომ თუ ქრონომეტრაჟი გამოავლენდა, რომ საშუალო დღიური ბრუნვა მეტი იყო გადამხდელის მიერ წინა წელს დეკლარირებულ საშუალო დღიურ ბრუნვაზე, მაშინ, წინა წლის საშუალო დღიური ბრუნვა განისაზღვრებოდა ქრონომეტრაჟის შედეგად დაფიქსირებული ბრუნვის მიხედვით სხვადასხვა ფაქტებისა და გარემოებების (სეზონურობის, ფორსმაჟორის, ქვეყ-

ნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, და სხვა ფაქტორებით) გათვალისწინებით. ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ივლისის თვეში საგადასახადო სამსახურმა ქრონომეტრაჟით საზოგადოებრივი კვების ობიექტში დააფიქსირა საშუალო დღიური ბრუნვა 500 ლარი, მაშინ, აღნიშნული ბრუნვა უნდა იქნეს გამოყენებული წინა წლის დასაბეგრი შემოსავლის გაანგარიშებისას. აღნიშნული მიდგომა დაბეგვრის მიზნებისას არაკორექტულია. ამ შემთხვევაში ხშირად მენარმეები იბეგრებიან მიუღებელ შემოსავალზე, რომელსაც შეიძლება ვუნოდოთ ვირტუალური შემოსავლის გადასახადით დაბეგვრა. როგორც საგადასახადო სამსახურების მიერ ჩატარებულმა ქრონომეტრაჟების სტატისტიკურმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, შემომწმებლების მხრიდან ფაქტიურად არ ხდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 8 სექტემბრის №577 ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება, კერძოდ, სეზონურობის, ფორსმაჟორის, ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების და სხვა ფაქტორების გათვალისწინება და ყველანაირი მტკიცების ტვირთი გადასახადის გადამხდელს ეკისრებოდა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ფინანსთა მინისტრის ზემოთაღნიშნული ბრძანება მოქმედებდა სულ რაღაც 3 თვე, 2009 წლის 18 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა გააუქმა აღნიშნული ბრძანება და გაუქმება ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან. გაუქმების შემდეგ კი მენარმეების უმრავლესობას დიდი საბიუჯეტო დავალიანებები დაუგროვდათ. ისმის კითხვა: **რა აზრი ჰქონდა აღნიშნული წესის მოქმედებას მხოლოდ 3 თვე? რატომ ღებულობდნენ ამ წესს, თუ ასე მალე აუქმებდნენ? რატომ გაუქმდა აღნიშნული წესი თუ ის დადებითი ეფექტის მომტანი იყო? თუ უარყოფითი ეფექტის მომტანი იყო, მაშინ, რატომ არ ჩამოენერათ აღნიშნული წესით დაჯარიმებულ მენარმეებს საბიუჯეტო გადასახადები?** ერთი სიტყვით, საკითხი ღრმა შესწავლას საჭიროებს საქართველოს მთავრობის მხრიდან, რათა არ დაიზარონ აღნიშნული წესით დაჯარიმებული

მენარმე პირები, რომელთა რაოდენობა არც თუ ცოტაა საქართველოს მასშტაბით.

ქრონომეტრაჟის წინა წელზე გავრცელების წესი მოქმედებდა წინა ხელისუფლების დროსაც, მაგრამ ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ აღნიშნული წესი სამართლიანად გაუქმდა. როგორც იმდროინდელი საერთაშორისო ექსპერტები აღნიშნავდნენ, ქრონომეტრაჟის ჩატარების იმდროინდელი წესის მოქმედება არაკონსტიტუციური იყო – იგი არსებითად, რომელიც არღვევდა გადასახადის გადამხდელის უფლებას, ჰქონოდა ვაჭრობის ნორმალური უფლება. 2004 წლამდე მოქმედი წესის მოქმედებამ მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყნის ბიზნეს-გარემო და საბიუჯეტო დავალიანების ხელოვნური ზრდა გამოიწვია. გამომდინარე აქედან, საინტერესოა, რატომ დადგა დღის წესრიგში კვლავ აღნიშნული წესის შემოღება 2009 წლის სექტემბერში? საჭიროა ამ წესის მოქმედების შედეგად დაზარალებული მენარმეების ბედით დაინტერესდეს საქართველოს მთავრობა და აღნიშნული წესის მოქმედების შედეგად დაზარალებულ მენარმეებს შეასაბამისად გარკვეული შეღავათები დაუნესდეთ.

სწორედ ასეთი არაპროფესიონალურად (შეიძლება ითქვას, მიზანმიმართულად) მიღებული კანონები იწვევს საბიუჯეტო დავალიანების ზრდას, რაც საერთო ჯამში ქვეყნის მაკროეკონომიკური გარემოს გაუარესებას უწყობს ხელს. გამომდინარე აქედან, კი საქართველოს საერთო ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება. (ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას ამტკიცებს ასევე ჩვენი ქვეყნის საგარეო ვალის ზრდაც, ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 2010 წლის 31 მარტის მდგომარეობით 3 521 775 000 აშშ დოლარია. თუ ამ ტემპით წავიდა საგარეო ვალის ზრდა, მაშინ უახლოეს წლებში ქვეყნის ეკონომიკა სრულ კატასტროფამდე მივა. აღსანიშნავია ისიც, რომ საგარეო ვალის ზრდა ხშირ შემთხვევაში არასწორი საბაჟო და საგადასახადო პოლიტიკითაა გამოწვეული).

თუ ჩვენი ქვეყნის სახელმწი-

ფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის სტატისტიკით ვიმსჯელებთ, საგარეო ვალის გასტუმრებას იმ შემთხვევაში თუ ყოველწლიურად 100 მილიონ დოლარს გადავიხდით, დასჭირდება 30 წელი, ისიც იმ შემთხვევაში, თუ დღეისათვის არსებული საგარეო ვალი კვლავ არ გაიზრდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქვეყნის ეკონომიკის ნორმალურად ფუნქციონირებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გამართულ საგადასახადო და საბაჟო კოდექსს. სწორედ ამ კანონებმა უნდა უზრუნველყოს ქვეყნის შიდა ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება და ყველა გადამხდელის ერთნაირ პირობებში ჩაყენება. (საგადასახადო კოდექსით დაუშვებელია გადამხდელის მიმართ ინდივიდუალური შეღავათების დაწესება, თუმცა, ხშირად ეს აკრძალვა ჩვენთან ირღვევა). მიუხედავად ამისა, არც თუ იშვიათად, გადასახადის გადამხდელები არათანაბარ პირობებში არიან, რაც სხვადასხვა საქონელზე კარტრული ფასების დაწესებას იწვევს. აღნიშნული მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის მოსახლეობას. (კარტრული ფასების დაწესებას ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ნავთობპროდუქტების, კომუნიკაციების და სააფთიაქო სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს შესაბამისი მარეგულირებელი კომისიები, რომლებსაც ვვალეობათ ბაზარზე წესრიგის დამყარება).

P.S. ვიდრე სტატია დასაბეჭდად მომზადდებოდა, საქართველოს მთავრობამ უკვე წარმოადგინა საგადასახადო კოდექსის ახალი კანონპროექტი, რომელიც „რევილუციურად“ მოინათლა. რამდენად „რევილუციურია“ იგი და შეუწყობს თუ არა ხელს მისი საბოლოო ვარიანტის მიღება ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას და იქნება თუ არა იგი უფრო მოქნილი და გადამხდელისთვის ხელსაყრელი, მომავალი გვიჩვენებს.

ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ მზადაა მონაწილეობა მიიღოს კანონპროექტის განხილვაში, ხოლო კოდექსის მიღების შემდეგ მკითხველებს შესთავაზოს სათანადო განმარტებები.